**ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები**
მოქნილი_აგრო, საკრედიტო ხელშეკრულება № xxxx.xxx.xxx
კლიენტის ნომერი - xxxxxxx

ქ.თბილისი თარიღი

**კრედიტის საპროცენტო განაკვეთი:**

- კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ტიპი = ფიქსირებული
- წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი = xxx%
- წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = xxx %

**ფინანსური ხარჯები:**

- ყოველთვიური შენატანები:

  * ძირითადი თანხა + პროცენტი = თანდართული გრაფიკის მიხედვით
  * სიცოცხლის დაზღვევა - თანდართული გრაფიკის შესაბამისად

- ვადის ბოლოს შენატანი = xxxx ლარი
- კრედიტის გაცემის საკომისიო = xx ლარი
  ▪ სიცოცხლის დაზღვევის თანხა - მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს სესხის ძირითადი თანხის წლიური 1%-ი.
- საკრედიტო ბიუროში გადამოწმების საკომისიო - 10.00 ლარი

**სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:**

- კრედიტის მთლიანი თანხის ოდენობა = xxxx ლარი
- მომხმარებლის მიერ გადასახდელი მთლიანი თანხის ოდენობა = xxxx ლარი
- კრედიტის ვადა = xx თვე
- საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადა = ვალდებულების სრულად შესრულებამდე
- კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო = გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%, თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6-დან 12 თვემდე ვადა; 1% თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 12-დან 24 თვემდე ვადა და 2% თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 24 თვეზე მეტი და 0% თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა.
- სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან რეფინანსირების საკომისიო= გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%; ხოლო თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა 0%.
- ფიქსირებული პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის = 20 (ოცი) ლარი, ვადაგადაცილების ყოველი ციკლის პირველ დღეს
- ყოველდღიური პირგასამტეხლო ვადაგადაცილებისათვის = ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-სა, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.

- ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილებისას მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში - არანაკლებ 1 (ერთი) თვით ადრე, წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ ინტერნეტბანკით/ მოკლე ტექსტური შეტყობინებით;

-მომხმარებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე

ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ამავე ხელშეკრულების მე-13 მუხლში.

- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მისო ,,ქართული კრედიტის" მომხმარებელთა პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, თავისუფალი წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406.

**საკრედიტო ხელშეკრულება** – xx.xxxxxxx.xxx

ქ. თბილისი თარიღი

**მსესხებელი**
დაბადებული:
რეგ. მისამართი:
ფაქტ. მისამართი:
პირადი №:
ელ.- ფოსტა:
ტელ:

სახელი/გვარი
დაბადებული: .
რეგ. მისამართი:
ფაქტ. მისამართი:
პირადი №:
ტელ:

**გამსესხებელი: სააქციო საზოგადოება მისო „ქართული კრედიტი“**
რეგ.მისამართი: თბილისი, გურამ ფანჯიკიძის I შეს. N8.
საინდენტიფიკაციო კოდი: №206238800
ტელ: (+995 32) 2 500 100
საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ფორმა: მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
საზედამხედველო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი. მის: 0114 თბილისი,
სანაპიროს ქუჩა № 2

**1. ხელშეკრულების საგანი**
**1.1.** წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, გამსესხებელი გასცემს მსესხებელზე კრედიტს XXXX (თანხა სიტყვიერად ) ლარის ოდენობით, xx თვის ვადით, ხოლო მსესხებელი ვალდებულია დააბრუნოს კრედიტი, გადაიხადოს მასზედარიცხული პროცენტი და შეასრულოს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად.
**1.2.** მიზნობრიობა/ბიზნეს მიზნობრიობა/აგრო ბიზნესი/საბრუნავი საშუალებები/სხვა საბრუნავი საშუალებები.
**1.3.** GC სესხის რეფინანსირება, ხელშეკრულებ(ებ)ის N XXX

**2. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი**
**2.1.** წლიური ნომინალური საპროცენტო განაკვეთი - xx %.
**2.2.** წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი - xx %.

**3. ფინანსური ხარჯები**
**3.1.** ყოველთვიური შენატანები:
* ძირითადი თანხა + პროცენტი = თანდართული გრაფიკის მიხედვით
* სიცოცხლის დაზღვევა - თანდართული გრაფიკის შესაბამისად

**3.2.**
▪ მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს კრედიტის გაცემისათვის მომსახურეობის საკომისიო, კრედიტის თანხის 3.5%-ის ოდენობით. აღნიშნული საკომისიოს დაკავება სს მისო „ქართული კრედიტის“ მიერ ხდება კრედიტის გაცემისას.
▪სიცოცხლის დაზღვევის თანხა - მსესხებელი ვალდებულია გადაიხადოს სესხის ძირითადი თანხის წლიური 1%-ი
▪საკრედიტო ბიუროში გადამოწმების საკომისიო - 10.00 ლარი

**4. კრედიტის მთლიანი თანხიდან მისაღები თანხის პირობები**
**4.1.** გასატანი თანხის ოდენობა: xxxx ლარი..
**4.2.** პერიოდულობა/გატანის თარიღები: ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს 1 (ერთი) ტრანშად.

**4.3.** გატანების საერთო რაოდენობა: 1 ტრანში.

**5. შენატანები**

**5.1.** შენატანების ჯამური მოცულობა: xxxx ლარი.

**5.2.** შენატანების საერთო რაოდენობა: xxxx შენატანი.

**6. პროცენტის დარიცხვა**

**6.1.** კრედიტის თანხაზე პროცენტის დარიცხვა დაიწყება კრედიტის გაცემის დღიდან.

**6.2.** კრედიტის თანხაზე პროცენტის დარიცხვა ხდება ყოველდღიურად. ამასთან, წელიწადში დღეთა რაოდენობა უტოლდება 365-ს.

**6.3.** გამსესხებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს/გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ სტადიაზე, იმ შემთხვევაში, თუ: ა) მსესხებელი დააღვევს კრედიტის მინზობრივად გამოყენების პირობას; ბ) მსესხებელი დაარღვევს ხელშეკრულების რომელიმე პირობას; გ) მსესხებლის სასარგებლოდ გაცემული საკრედიტო პროდუქტის საპროცენტო განაკვეთი აღმოჩნდება უფრო დაბალი, ვიდრე საქართველოს საკრედიტო ბაზარზე არსებული საპროცენტო განაკვეთები; დ) ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალება საერთო ეკონომიკური პირობები და/ან გამოიცემა ნორმატიული აქტი საქართველოს სავალუტო-საკრედიტო სისტემაში ანგარიშგასაწევი ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით.

**6.4.** საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შემთხვევაში, მსესხებელს ცვლილებამდე ორი თვით ადრე ეცნობება წერილობით / ელექტრონული ფოსტით/ მოკლე ტექსტური შეტყობინების გზით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საპროცენტო განაკვეთი იცვლება მსესხებლის სასარგებლოდ.

**6.5.** მსესხებელი უფლებამოსილია შეტყობინების მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში წერილობითი სახით უარი განაცხადოს ცვლილების ძალაში შესვლაზე და მომდევნო 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში დაფაროს გამსესხებლის წინაშე არსებული დავალიანება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცვლილება ძალაში შევა შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან.

**7. კრედიტის დაბრუნება და პროცენტის გადახდა**

**7.1.** კრედიტის დაფარვა და პროცენტის გადახდა ხორციელდება კრედიტის დაფარვის გრაფიკის მიხედვით (დანართი №1).ზედმეტად განხორციელებული შენატანი მიმართული იქნება სესხის წინსწრებით, ვადაზე ადრე სრულად და/ან ნაწილობრივ დასაფარად (ნაწილობრივ იმ შემთხვევაში, თუ ზედმეტად განხორციელებული შენატანი არ იქნება საკმარისი იმ დროისთვის არსებული ვალდებულების სრულად დასაფარად).

**7.2.** კრედიტის დაფარვასა და პროცენტის გადახდასთან დაკავშირებული შენატანის განხორციელებისას პირველ რიგში იფარება ვადაგადაცილებიდან წარმოქმნილი პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ კრედიტზე დარიცხული პროცენტი და საბოლოოდ კრედიტის თანხა.

**7.3.** თუ მსესხებელს გამსესხებლის წინაშე გააჩნია სხვადასხვა საკრედიტო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ერთზე მეტი ვალდებულება, შენატანის განხორციელებისას, მსესხებელი უფლებამოსილია ნომერზე 032 2 500 100 სატელეფონო ზარის საშუალებით დააფიქსიროს რომელი სესხის დასაფარად მიემართოს შენატანი.

**7.4.** თუ მსესხებელი არ გამოიყენებს მისთვის 7.3. პუნქტით მინიჭებულ უფლებამოსილებას, გამსესხებელი ვალდებულებათა დაფარვას მოახდენს შემდეგი წესის დაცვით:

**7.4.1.** უპირატესად დაიფარება ვადაგადაცილებული სესხი, თუნდაც შენატანი არ იყოს საკმარისი დავალიანების სრულად დასაფარად;

**7.4.2.** ორი ან მეტი ვადაგადაცილებული სესხის შემთხვევაში, უპირატესად დაიფარება სესხი, რომლის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობაც უფრო მეტია;

**7.4.3.** თუ არც ერთი სესხი არ არის ვადაგადაცილებაში, პირველ რიგში დაიფარება ნაკლები ნაშთის მქონე სესხი.

**8. დაზღვევა**

**8.1.** დაზღვევის პირობები – სს „xxxxxxxxx"-ს მიერ შემუშავებული სიცოცხლის (მათ შორის, დაზღვეული პირის გარდაცვალება ნებისმიერი ბუნებრივი ან გამოწვეული უბედური შემთხვევით) დაზღვევის პირობები, რომლითაც ხელმძღვანელობენ მხარეები დაზღვევის განხორციელებისას. მსესხებელი უფლებამოსილია და დამზღვევმა უნდა უზრუნველყოს, რომ მსესხებელმა მიიღოს სრული და ამომწურავი ინფორმაცია - სესხზე მიბმული სიცოცხლის დაზღვევის სფეროში ურთიერთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების დანართი Nxx-ით განსაზღვრული სიცოცხლის დაზღვევის პირობების შესახებ, ასევე დაზღვევის პირობების შესახებ, რომელიც განთავსებულია შემდეგ ვებ. მისამართზე https://xxxxx

**8.2.** დაზღვევის ობიექტი - მსესხებლის სიცოცხლე. x წლიდან x წლის ჩათვლით ასაკობრივ ზღვარში.

**8.3.** მზღვეველი- სს „xxxxxxxx"(საიდენტიფიკაციო კოდი: xxxxx), რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ეწევა სადაზღვევო საქმიანობას .

**8.4.** დამზღვევი- პირი, რომელიც აფორმებს სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევის ხელშეკრულებას მზღეველთან - სს მისო ქართული კრედიტი ( საიდენტიფიკაციო კოდი: 206238800).

**8.5.** მოსარგებლე- პირი, რომელიც წინამდებარე პირობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება - სს მისო ქართული კრედიტი.

**8.6.** მსესხებელი - ფიზიკური პირი, რომელსაც დამზღვევთან გაფორმებული აქვს საკრედიტო ხელშეკრულება და რომლის გარდაცვალებით გამოწვეული სესხის დაუბრუნებლობის რისკი დაზღვეულია დამზღვევის მიერ.

**8.7.**აღნიშნული საკრედიტო ხელშეკრულების ხელმოწერით მსესხებელი ადასტურებს მზღვეველისთვის

უფლებამოსილების მინიჭების ფაქტს მის შესახებ ნებისმიერი პირადი და/ან პერსონალური ინფორმაციის მზღვეველის მიერ გამოთხოვის და/ან დამუშავების თაობაზე, როგორც მსესხებლის სიცოცხლის პერიოდში, ასევე მისი გარდაცვალების შემდეგაც და ასევე, დამზღვევის მოსარგებლედ განსაზღვრის შესახებ.

**8.8.** მსესხებელი ვალდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან უმოკლეს დროში, მაგრამ არაუგვიანეს 14 დღის განმავლობაში მზღვეველისთვის და/ან დამზღვევისთვის განახორციელოს შესაბამისი შეტყობინება. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს სამოქალაქო კოდექსის თავი მეოცე „დაზღვევა“ I. ზოგადი დებულებანი განსაზღვრული შესაბამისი მუხლების დარღვევას.

**8.9.** მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა/არაჯეროვნად შესრულება, უფლებამოსილებას ანიჭებს დამზღვევს ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიცოცხლის ან უბედური შემთხვევით გამოწვეული შრომისუნარიანობის შეზღუდვის დაზღვევა. დაზღვევის შეწყვეტა არ ათავისუფლებს მსესხებელს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დროულად და სრულად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

**9. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა**

**9.1.** მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილია თავდების მიერ გაფორმებული თავდებობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებით შემდეგი ხელშეკრულებების შესაბამისად:

№ xx.xxxxxx.xxx

**9.2.**წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული დოკუმენტები წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**9.3.** მსესხებლის ან მისი თავდების ფინანსური მდგომარეობის გაუარესების ან ამგვარი საფრთხის არსებობისას, გამსესხებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მსესხებლისგან, ხოლო მსესხებელი ვალდებულია წარუდგინოს გამსესხებელს დამატებითი უზრუნველყოფა, რასაც გამსესხებელი შეარჩევს.

**9.4** თუ იპოთეკის/გირავნობის საგნის გამსესხებლის (იპოთეკარის/მოგირავნის) საკუთრებაში გადაცემის ან გამსესხებლის (იპოთეკარის/მოგირავნის) მიერ მისი რეალიზაციის შემთხვევაში იპოთეკის/გირავნობის საგნის ღირებულება მთლიანად არ დაფარავს კრედიტორის მოთხოვნას ან იპოთეკის/გირავნობის საგნის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ აღმოჩნდება იპოთეკით/გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის და რეალიზაციის პროცესში წარმოშობილი ხარჯების დასაფარად, გამსესხებელს (იპოთეკარს/მოგირავნეს) უფლება აქვს დაიკმაყოფილოს მოთხოვნა მსესხებლის სხვა ნებისმიერი აქტივის ხარჯზე.

**10. კრედიტის გამოყენების შემოწმება**

**10.1.** გამსესხებელი ამოწმებს მსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტის მიზნობრიობის შესაბამისად გამოყენებას ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

**10.2.** მსესხებელი ვალდებულია შექმნას კრედიტის გამოყენების კონტროლის და ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების პირობები.

**10.3.** მსესხებელი ვალდებულია წერილობითი მოთხოვნიდან 3 დღის განმავლობაში წარუდგინოს გამსესხებელს კრედიტის მიზნობრიობის შესაბამისად გამოყენების დამადასტურებელი ინფორმაცია და დოკუმენტები.

**11. მსესხებლის დამატებითი ვალდებულებები**

**11.1.** წარუდგინოს გამსესხებელს მისთვის ადრე წარმოდგენილი სარეგისტრაციო დოკუმენტებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები, მათი განხორციელების თარიღიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში.

**11.2.** განახორციელოს თავისი საქმიანობა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**11.3.** დაუყოვნებლივ შეატყობინოს გამსესხებელს ყოველი ფაქტის, შემთხვევის ან ინფორმაციის შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე.

**12. კრედიტის ვადამდე გამოთხოვა**

**12.1.** გამსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს კრედიტის ვადამდე ადრე დაფარვა, დარიცხული პროცენტისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა, აგრეთვე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება:

**12.1.1.** თუ მსესხებელი დაარღვევს კრედიტის დაფარვის გრაფიკით განსაზღვრულ ვადებს;

**12.1.2.** თუ გაუარესდება მსესხებლის, ან თავდების ფინანსური მდგომარეობა ან შეიქმნება ამგვარი გარემოების დადგომის საშიშროება;

**12.1.3.** თუ მსესხებელი არ შეასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს კრედიტის დაბრუნების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით;

**12.1.4.** თუ მსესხებელი ან მესამე პირები არ შეასრულებენ უზრუნველყოფის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

**12.1.5.** თუ მსესხებელი სრულად ან დროულად არ წარადგენს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დოკუმენტებს და ინფორმაციას, ან თუ აღნიშნული დოკუმენტები და ინფორმაცია ან მათი რაიმე ნაწილი არ იქნება სარწმუნო;

**12.1.6.** ისეთი გარემოებების დადგომისას, როდესაც ეჭვის ქვეშ დგება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

**12.1.7.** თუ მსესხებელი დაარღვევს კრედიტის მიზნობრივად გამოყენების პირობას;

**12.2.** მსესხებელი უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, მხოლოდ ვადაზე ადრე ვალდებულების შესრულების გზით. კრედიტის ვადამდე ადრე, სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის შემთხვევაში მსესხებელმა უნდა გადაიხადოს ადრე დაფარვის საკომისიო შემდეგი ოდენობით:

- 0%-ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა;
- 0.5% - ხელშეკრულების დასრულებამდე 6-დან 12 თვემდე პერიოდში;
- 1% - ხელშეკრულების დასრულებამდე 12-დან 24 თვემდე პერიოდში;
- 2% - ხელშეკრულების დასრულებამდე 24 და მეტი თვის პერიოდში.

იმ შემთხვეაში, თუ მსესხებელი მოახდენს კრედიტის სხვა ფინანსური ორგანიზაციიდან სრულ ან ნაწილობრივ ვადაზე ადრე რეფინანსირებას, პირგასამტეხლოს სახით დაეკისრება გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენ ძირითად თანხაზე მიმართული თანხის 0.5%; ხოლო თუ ხელშეკრულების დასრულებამდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა 0%.

**12.3.** იმ შემთხვევაში თუ, ქვეყანაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საერთო ეკონომიკური პირობები და/ან გამოიცა ნორმატიული აქტი საქართველოს სავალუტო-საკრედიტო სისტემაში ანგარიშგასაწევი ცვლილებების განხორციელებასთან დაკავშირებით ან მნიშვნელოვნად გაუარესდა მსესხებლის ფინანსური მდგომარეობა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, გამსესხებელი უფლებამოსილია არ გადაახდევინოს მსესხებელს წინამდებარე ხელშეკრულების 12.2. პუნქტით განსაზღვრული საკომისიო.
**12.4.** გამსესხებელი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ მსესხებელი გადააცილებს ზედიზედ, სულ ცოტა, სესხის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ ორ ვადას.

**13. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება**
**13.1.** მსესხებელს უფლება აქვს ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე, ამ ხელშეკრულების დადებიდან/მიწოდებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.
**13.2.** პირველ მუხლში მითითებული უფლების რეალიზაციის შემთხვევაში, მსესხებელმა ფილიალში ვიზიტით (მისამართები იხილეთ ვებ.გვერდზე www.geocredit.ge ) უნდა დააფიქსიროს მოთხოვნა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენების თაობაზე.
**13.3.** უარის თქმის უფლების გამოყენების შემთხვევაში მსესხებელმა გამსესხებელს უნდა გადაუხადოს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხა და ამ თანხაზე კრედიტით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში დარიცხული და გადაუხდელი პროცენტი, გამსესხებლისთვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ შეტყობინების გაგზავნიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა. ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებამდე კრედიტით სარგებლობის პერიოდში სესხზე დარიცხული პროცენტის დათვლა დღიურად იწარმოება შემდეგნაირად: სესხის ძირი თანხა* სესხის წლიურ ნომინალურ განაკვეთზე /365-ზე.
**13.4.** მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, საკრედიტო ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება თუ მსესხებელი ამ მუხლის 13.1; 13.2 და 13.3 პუნქტების მოთხოვნებს სრულყოფილად შეასრულებს.
**13.5.** იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი მოგვმართას ამავე მუხლის 13.1 და 13.2 პუნქტების მოთხოვნათა დაცვით, თუმცა არ შეასრულებს 13.3 პუნქტის მოთხოვნებს სრულად, გამსესხებელი არ დააკმაყოფილებს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას და მსესხებელი ვალდებული იქნება შეასრულოს საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად.
**13.6.** საკრედიტო ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასევე უქმდება წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და აღნიშნულის თაობაზე ხელშეკრულების მხარეს ეცნობება დაუყოვლებლივ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით.
**13.7.** თუ სესხი გაცემულია თანამსესხებლით, თანამსესხებელმა და მსესხებელმა საკრედიტო ხელშეკრულებაზე უარი წინამდებარე ხელშეკრულების მუხლების თანახმად ერთობლივი განცხადებით უნდა დააფიქსირონ.

**14. პირგასამტეხლო**
**14.1.** იმ შემთხვევაში თუ, შენატანი არ განხორციელდება კრედიტის დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებულ დროს, გამსესხებელი უფლებამოსილია გადაახდევინოს მსესხებელს ფიქსირებული პირგასამტეხლო 20 ლარის ოდენობით ვადაგადაცილების ყოველი ციკლის პირველ დღეს და ყოველდღიური პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, არაუმეტეს ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27%-სა, ამასთან, ვადაგადაცილების დაწყებიდან მის სრულ აღმოფხვრამდე პერიოდში დაკისრებული ხარჯების ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს მიმდინარე ნარჩენი ძირითადი თანხის 1.5-მაგ ოდენობას.
**14.2.** წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკავება გამსესხებელის მიერ ხორციელდება მორიგი გადახდის დროს.

**15. პრეტენზიების წარდგენა**
მსესხებელს უფლება აქვს გამსესხებელს წარუდგინოს პრეტენზია ზეპირად, თავისუფალი წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით (რომლის სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია სს მისო „ქართული კრედიტის“ ფილიალებსა და ვებ-გვერდზე www.georgiancredit.ge). მსესხებლის პრეტენზიის განხილვის მაქსიმალური ვადაა 1 (ერთი) თვე, პრეტენზიის მიღების მომენტიდან. პრეტენზიას განიხილავს სს მისო „ქართული კრედიტის“ მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის სამსახური. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ მსესხებელს ეცნობება იმავე ფორმით რა ფორმითაც წარდგენილ იქნება პრეტენზია.

**16. დავის გადაწყვეტის წესი**

**16.1.** ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას ამ ხელშეკრულების შესრულების პროცესში, გადაწყვეტილი იქნება მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით.
**16.2.** შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულების ირგვლივ წარმოქმნილი ან მასთან დაკავშირებული დავები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განიხილება საქართველოს სასამართლოს მიერ.
**16.3.** წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავასთან დაკავშირებული მისოს სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად;

**17. სხვა დებულებები**
**17.1.** წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ვალდებულების სრულად შესრულებამდე.
**17.2.** იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია შედგენილია ელექტრონული დოკუმენტის სახით, მხარეთა მიერ ხელშეკრულება დამოწმებული იქნება ელექტრონული ხელმოწერებით, მისოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი სხვა პირის მფლობელობაში არსებული ელექტრონული ხელმოწერების პლატფორმის (შპს „ენჯითი როქით სოლუშენს"-ის, ს/ნ 405432580, მფლობელობაში არსებული პლატფორმის-www.Signify.ge-ის) საშუალებით/გამოყენებით (შემდგომში „ელექტრონული პლატფორმა"), მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე ელეტრონული ხელმოწერების შესაბამისი პლატფორმის მიერ დადგენილი წესებითა და პროცედურით. ელექტრონული დოკუმენტის სახით მომზადებული და გაფორმებული ხელშეკრულება მსესხებელს მიეწოდება ელექტრონულად, მსესხებლის მიერ დაფიქსირებულ მობილურის ნომერზე, SMS გზავნილის სახით. თუ წინამდებარე ხელშეკრულება მომზადებულია დაბეჭდილი დოკუმენტის სახით, მხარეთა მიერ მისი დამოწმება მოხდება პირადი ხელმოწერებით და მომზადდება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე იმდენ ეგზემპლარად, რამდენი მხარეცაა წარმოდგენილი და თითო პირი გადაეცემა ყოველ მხარეს.
**17.3.** მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით მხარეთა შორის მისოს დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ის ან/და ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით შესრულებული ნებისმიერი ქმედება (მათ შორის, დოკუმენტების ელექტრონული ხელმოწერა), აგრეთვე ელექტრონული ფორმით შედგენილი დოკუმენტაცია და მხარეთა შორის წარმოებული ელექტრონული კომუნიკაცია ატარებს ოფიციალურ ხასიათს, გააჩნია სათანადო იურიდიული ძალა და უნარი, დაშვებულ იქნას მტკიცებულებად, რომელთა საშუალებითაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია შესაბამისი იურიდიული დაქტების დამტკიცება (მათ შორის, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების გაფორმების ფაქტის უტყუარობის დადგენა), მათ შორის სასამართლო დავის დროსაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
**17.4.** სს მისო ქართული კრედიტი შეაგროვებს/დაამუშავებს პირის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები).
მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.
**17.5.** მსესხებელი ანიჭებს გამსესხებელს უპირობო უფლებას ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე გაეცნოს მსესხებლის საკრედიტო ისტორიას სს „კრედიტინფო საქართველოს" მონაცემთა ბაზაში მსესხებლის გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნით. ასევე, სს „კრედიტინფო საქართველოს" მეშვეობით გამოითხოვოს მასზე ინფორმაცია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს მართვაში არსებული მოვალეთა რეესტრიდან მისი გადამხდელუნარიანობის შეფასების მიზნით.
**17.6.** გამსესხებელი ასევე იტოვებს უფლებამოსილებას მსესხებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება გადასცეს ნებისმიერ მესამე პირს მსესხებელთან წინასწარი შეთანხმების გარეშე.
**17.7.** გამსესხებელს ეკისრება ვალდებულება თავდებს, ასევე იპოთეკისა და გირავნობის საგნის მესაკუთრეს გადასცეს წინამდებარე ხელშეკრულებისა და თავფურცელის ასლები მათი მხრიდან მოთხოვნის შემთხვევაში.
**17.8.** წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის თუ ის გაფორმებულია წერილობით და სათანადოდ ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ. ზეპირი შეთანხმება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით იურიდიული ძალის არმქონეა.
**17.9.** ვალდებულებათა შესრულებისას მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით.
**17.10.** კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შედეგად ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების დანარჩენი პუნქტები რჩება ძალაში.
**17.11**. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გამსესხებლის სალაროდან, სესხის თანხის გაცემა მოხდება ხელშეკრულებაში წარმოდგენილ მსესხებელთაგან მხოლოდ ერთ პირზე, რაც დადასტურებული იქნება ამ უკანასკნელის ხელმოწერით სალაროს გასავლის ორდერზე. არავის არ აქვს უფლება პრეტენზია წარუდგინოს გამსესხებელს იმ საფუძვლით, რომ სესხის თანხა პირად მას არ გადასცემია.
**17.12.** წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გაფორმებული დანართები წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.
**17.13.**

მხარეთა შორის კომუნიკაცია/შეტყობინება ხორციელდება ქართულ ენაზე, წერილობით ან საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფორმით.

**17.14.** მისოს საქმიანობის ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი. მის.: თბილისი, სანაპიროს N2.

**17.15.** მსესხებელი, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულების პირობებთან ერთად, დეტალურად გაეცნო, გამსესხებლის ოფისებში საჯაროდ გამოქვეყნებულ სესხის პირობებს და გამსესხებლის ვებ-გვერდზე https://georgiancredit.ge/generalterms განთავსებულ მომსახურების ზოგად პირობებს, რაც მოიცავს საკრედიტო ოპერაციების განხორციელების წესს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

**თითოეული მხარე იძლევა გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში თითოეული მათგანისთვის გადაცემული პერსონალური მონაცემების მიმართ იქნება მიღებული კანონმდებლობით მოთხოვნილი (მათ შორის, „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით) შესაბამისი უსაფრთხოების ზომები. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მომხმარებელი ასევე თანხმობას აცხადებს, რომ სს მისო „ქართულმა კრედიტმა" განახორციელოს, საქართველოს კანონით „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ გათვალისწინებული, მსესხებლის პერსონალური მონაცემების (მათ შორის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების) დამუშავება (შეგროვება/დამუშავება, შენახვა, დაარქივება) კერძოდ: წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების, შეთავაზების, პირდაპირი მარკეტინგის განხორციელების მიზნით, ასევე მის მიერ მოწოდებული სოციალურ ურთიერთობებთან დაკავშირებული მონაცემები, როგორიცაა ოჯახური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, ინფორმაცია ოჯახის წევრების (მეუღლის, მშობლების, მათ შორის შვილების შესახებ), საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაცია.**

იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტთ სს მისო „ქართულ კრედიტში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

**სს მისო „ქართული კრედიტი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.**

**18. დანართი: კრედიტის დაფარვის გრაფიკი**

**19.** მხარეები თანხმდებიან, რომ დავალიანებული სესხის მართვა/ამოღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ქართული კრედიტის ცხელი ხაზის ნომერზე (+995 32) 2-500-100.

**20. მხარეთა რეკვიზიტები**

| **გამსესხებელი** | **მსესხებელი** |
|---|---|
| **სს მისო „ქართული კრედიტი“**<br>**206238800**<br>**ტელ: +032 2 500 100** | სახელი/გვარი<br>პირადი №: |
| ფილიალის მენეჯერი: სახელი/გვარი<br>(მინდობილობა გაცემული dd.mm.yyyy წ. რეესტრის ნომერი: № ) | სახელი/გვარი<br>პირადი №: |

ხელმოწერით მსესხებელი ადასტურებს, რომ გამსესხებლის წარმომადგენელმა ზეპირსიტყვიერად გააცნო სესხის პირობები, მათ შორის მოცემული ფინანსური ხარჯები და კრედიტის დაუბრუნებლობის სამართლებრივი რისკები. მსესხებელი ეთანხმება ყველა პირობას და ხელშეკრულება არ მოიცავს არასრულ ან/და ბუნდოვან ინფორმაციას